ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

ხუთშაბათი, 5 ივლისი № 75 (11561) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 8 კაპ.


## საინფორმაციო ცნობა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა

1990 წლის 2 ივლისს, დილის 10 საათზე, მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობას შეუდგა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა.

ყრილობა გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

აზრთა გაზიარების შემდეგ დელეგატებმა აირჩიეს ყრილობის ხელმძღვანელი ორგანოები — პრეზიდიუმი, სამდივნო, სარედაქციო, სამანდატო კომისიები.

ყრილობამ განიხილა დელეგაციების წარმომადგენელთა თათბირის მიერ შემუშავებული დღის წესრიგი და დამატებათა გათვალისწინებით დაამტკიცა იგი შემდეგი სახით:

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში სკკპ XXVIII ყრილობისადმი და პარტიის ამოცანები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისა და წევრობის კანდიდატების, ცენტრალური კომიტეტის მდივნების ანგარიშები.

სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში.

სკკპ ბიუჯეტი და ქონება.

სკკპ XXVIII ყრილობის საპროგრამო განცხადება „ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმისაკენ".

სკკპ წესდება.

სკკპ ცენტრალური საკონტროლო კომისიის დებულება.

პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

სკკპ XXVIII ყრილობის რეზოლუციები, განცხადებები და მიმართვები.

შემდეგ დაამტკიცეს ყრილობის მუშაობის რეგლამენტი.

შესვენების შემდეგ თავმჯდომარეობდა ნ. ი. რიჟკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა.

●

1990 წლის 3 ივლისს, კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობას განაგრძობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა.

დილის სხდომაზე თავმჯდომარეობდა ს. ი. გურენკო — უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

ყრილობაზე განახლდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრების ანგარიშების მოსმენა. სხდომის მონაწილეთა წინაშე გამოვიდნენ: ლ. ნ. ზაიკოვი და ი. კ. ლიგაჩოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები, ე. ა. შევარდნაძე — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, ი. დ. მასლიუკოვი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე, ვ. ი. ვოროტნიკოვი, რომელიც წინათ რსფსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ მუშაობდა.

შემდეგ სკკპ XXVIII ყრილობის სამდივნოს მუშაობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა მისმა ხელმძღვანელმა ა. ნ. ილინმა.

შესვენების შემდეგ სხდომა მიმდინარეობდა ნ. ა. ნაზარბაევის — ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თავმჯდომარეობით.

ყრილობამ მოისმინა და ხანმოკლე დისკუსიის შემდეგ დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა მისმა თავმჯდომარემ ი. ა. მანაენკოვმა.

შემდეგ ანგარიშებით გამოვიდნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ვ. ა. კრიუჩკოვი — სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე; სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები გ. პ. რაზუმოვსკი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი და დ. ტ. იაზოვი — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი.

საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა ე. ე. სოკოლოვი — ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

ყრილობამ მოისმინა ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში, რომელიც გააკეთა ა. ა. ნიზოვცევამ.

მოხსენება სკკპ ბიუჯეტისა და ქონების შესახებ გააკეთა ნ. ე. კრუჩინამ.

საღამოს სხდომის დასკვნით ნაწილს უძღვებოდა მ. ს. გორბაჩოვი.

ყრილობამ შექმნა ძირითადი პარტიული დოკუმენტების პროექტების მომამზადებელი კომისია.



## და მოგვეზღვება ასმაგად...

პატარა, მაგრამ დიდებულ ნაგებობას ჩვენი დროისათვის დამახასიათებელი ისტორია აქვს. ოდესღაც წყნეთის წმინდა გიორგის ეკლესია, რომელსაც რესტავრაცია გაუკეთეს გასული საუკუნის დამლევსა და მიმდინარე საუკუნის დამდეგს, გლეხების სულიერი ცხოვრების ცენტრი იყო.

მაგრამ დადგა 1921 წლის თებერვალი. წყნეთში ქალაქიდან ავიდნენ აგიტატორები, რომლებმაც „დაარწმუნეს" გლეხები კოლმეურნეობის შექმნის აუცილებლობაში, ტაძარში კი მოაწყვეს... საზოგადოებრივი საწყობი. შემდეგ ის თონედ გადააკეთეს.

დაბის ახალგაზრდა მცხოვრებთა ჯგუფმა,—გია ამირანაშვილმა, რეზო ხეჩუაშვილმა, თამაზ აფციაურმა, გელა ლარიაშვილმა, გია მამუკაშვილმა, ზაზა ტატულაშვილმა, სოსო ელიზბარაშვილმა და სხვა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა, რომლებსაც აქტიურად უჭერდა მხარს სადაბო საბჭოს თავმჯდომარე არჩილ მამუკელაშვილი, ისევ თებერვალში, მაგრამ ამჯერად უკვე 1990 წელს მოჰკიდეს ხელი საქმეს: გადაიტანეს ფურნე, გაწმინდეს ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია და დაიწყეს მისი რესტავრაცია.

თვითმოქმედი რესტავრატორები მუშაობენ უსასყიდლოდ. მათ აგიტირება არ სჭირდებათ: როგორც კი გამონახავენ თავისუფალ წუთს, მაშინვე ეკლესიასთან არიან.

გავა ცოტა დროც და წმინდა გიორგის აღორძინებული ეკლესია მიიღებს მრევლს. როგორც მეორე, ამჟამად მოქმედი, ადგილობრივი ეკლესია, რომელსაც წინათ სიცოცხლე დაუბრუნეს წყნეთელებმა რამაზ ლარიაშვილის მეთაურობით, იგი გახდება საქართველოში სულიერი ცხოვრების აღორძინების კიდევ ერთი სიმბოლო.

**გენადი დიორტკინი,**





**სურათებზე;** წმინდა გიორგის ეკლესია; ახალგაზრდა წყნეთელები გია ამირანაშვილი, დავით სულაძე, შოთა ანესაშვილი, ნუკრი ჯავახიშვილი და თამაზ აფციაური წყნეთის სადაბო საბჭოს თავმჯდომარესთან არჩილ მამუკელაშვილთან ერთად სარესტავრაციო სამუშაოებზე.

წყნეთის ღვთისმშობლის მოქმედი ეკლესია.

**გონდო დვალიშვილის ფოტო.**

**საქინფორმის კორ.**

ვერ აუხსნა საზოგადოებას ფრონტის მიტოვების მიზეზი. ამავე საკითხზე სიტყვა მოითხოვა ასევე „ყოფილმა ფრონტელმა“ გურამ პეტრიაშვილმა. მან მიმართა ყრილობას, რომ გაამკაცროს ფრონტში მიღების წესები, რათა მისი კარი ზნეობრივად საეჭვო და კორუმპირებული პირებისათვის სამუდამოდ დაიხუროს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ მიაღწევს გამარჯვებას.

ამ მღელვარე ეპიზოდების ერთგვარი კომენტარი გახდა გადაწყვე-

რას მოგვიტანს „ბოლშევიკების შთამომავლებთან“ წილისყრა?

აი, როგორ შეფასებას აძლევს ამ ფაქტს სახალხო ფრონტის წევრი, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ბატონი **ვალერიან ადვაძე:**

— დღეს, როცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გათიშულია, ჩვენ არა გვაქვს უფლება, სსფ-ც გავთიშოთ. ის მაინც უნდა დარჩეს ყველა პარტიის, ფრაქციის, მიმდინარეობის გამაერთიანებლად, რომლის საბოლოოდ გაერთიანებულმა მოქმედებამ უნ-

იყოს ყველა, მათ შორის არაქართველიც. გამოდის, არაქართველი უფრო ახლოსაა ქართველთან, ვიდრე ქართული კომუნისტური პარტიის წევრი მეორე ქართველთან. მაშ, არც ლოგიკით, არც ბრაფრით მე ეს გამართლებულად არ მეჩვენება.

ნუ გავთიშავთ ფრონტს, რამეთუ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ისედაც უკვე გათიშულია და ჩვენ მაინც მივაღწიოთ გაერთიანებას. სამწუხაროდ, ეს აზრი დღეს მაინც ვერ გავიტანე. რამე-

# ცხელი ზაფხულის 4 დღე









ოდენობა განისაზღვროს 88 კაცით.

ყრილობამ მუშაობა დროებით შეწყვიტა. ხელახალი მოწვევის თარიღი წინდაწინ გამოქვეყნდება. დაველოდოთ სსფ-ს ყრილობის ბოლო აკორდს.

**ნინო კლარჯეიშვილი**

**თამაზ ბიბილურის ფოტოები.**

# „მრგვალი მაგიდისა“ და „საკოორდინაციო ცენტრის“ I შეხვედრა

2 ივლისს, მწერალთა კავშირის შენობაში შედგა შეხვედრა „მრგვალი მაგიდისა“ და „საკოორდინაციო ცენტრის“ წარმომადგენლებს შორის. ამ შეხვედრაში თითოეული პოლიტიკური გაერთიანება მონაწილეობდა 10-10 წარმომადგენლით.

| „მრგვალი მაგიდა“ | „საკოორდინაციო ცენტრი“ |
|---|---|
| თედო პაატაშვილი | ირაკლი წერეთელი |
| თემურ ქორიძე | ირაკლი ბათიაშვილი |
| თემურ ჟორჟოლიანი | ვანო ხუხუნაიშვილი |
| ზოგი ხოშტარია | თენგიზ შარმანაშვილი |
| ბელა ჩორგოლაშვილი | რუსლან მიქაბერიძე |
| ავთო რცხილაძე | ჯუმბერ კოპალიანი |
| ვაჟა ადამია | გია ჟორჟოლიანი |
| ზვიად ბოკუჩავა | გურამ ბოჯგაძე |
| ზურა მახაშვილი | ნუგზარ ციხაძე |
| გია ხოხელიძე | რაულ ქუპრავა |

გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ არსებობს სხვადასხვა აზრი, კონცეფცია და გზები საქართველოს დამოუკიდებლობის მისაღწევად.

ითქვა აგრეთვე, რომ პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების ურთიერთდამოკიდებულებაში დაცული უნდა იქნას მორალური და ზნეობრივი ნორმები.

დაწყებულია მოლაპარაკება შეთანხმებისათვის.

ორშაბათს, 8 ივლისს, 11 საათზე მომდევნო შეხვედრა შედგება მწერალთა კავშირის შენობაში.

**ქართული საინფორმაციო ცენტრი „იბერია“**

# საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს გ. გუმბარიძეს
# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ჭითანავას
# საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს ი. მენაღარიშვილს
# საქართველოს სსრ განათლების მინისტრს გ. ენუქიძეს

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატი გაცნობებთ, რომ ინსტიტუტში გრძელდება მეტად დაძაბული მდგომარეობა, რომელიც დღითიდღე მწვავდება. 1990 წლის 23 აპრილიდან რექტორატისა და ცენტრალური სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის შენობა ბლოკირებულია მოსამზადებელი განყოფილების მსმენელთა და მათი მშობელთა გარკვეული ჯგუფის მიერ, რომელიც მოითხოვს მსმენელთა ინსტიტუტში ჩარიცხვას გამოსაშვები წერითი გამოცდების (ჩათვლების) გარეშე. აღნიშნულმა გარემოებამ გამოიწვია სრული დესტაბილიზაცია ინსტიტუტის სასწავლო, სამეცნიერო, საფინანსო და სამეურნეო საქმიანობაში. ფერხდება თანამშრომელთა ხელფასისა და შეღავათების თანხის, აგრეთვე სტუდენტების სტიპენდიის გაცემა, სრულიად ჩაიშალა ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მუშაობა, სადაც 300-მდე თანამშრომელია, ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა წარმომადგენლები მრავალგზის შეხვდნენ მოსალაპარაკებლად მსმენელთა და მშობელთა საგაფიცვო კომიტეტის წევრებს, მაგრამ უშედეგოდ. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და პროფესორ-მასწავლებელთა წარმომადგენლების გაერთიანებული კრებების (1990 წლის 17 და 23 აპრილის, 4 და 12 მაისის, 4 და 13 ივნისის) დადგენილებები, საქართველოს სსრ სახალხო განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროების ერთობლივი ბრძანებები (28.02. 90 წ. და 1.03. 90 წ.) და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 12 მაისის № 293 გადაწყვეტილება, რომელთა მიხედვითაც მიუღებლადაა მიჩნეული მსმენელთა მოთხოვნა 1-ლ კურსზე უგამოცდოდ ჩარიცხვის შესახებ და ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „პირველ კურსზე სტუდენტად ჩაირიცხოს ყველა ის მსმენელი, ვინც გამოსაშვებ წერით გამოცდებზე (ჩათვლებზე) ოთხივე საგანში მიიღებს დადებით შეფასებას“, მსმენელთა ნაწილი მაინც კატეგორიულად მოითხოვს უგამოცდოდ ჩარიცხვას. რექტორატმა მოსამზადებელ განყოფილებაზე გამოსაშვები გამოცდები დანიშნა 15 ივნისიდან. ყველა კათედრაზე დაინიშნა კონსულტაციები, შედგა საგამოცდო კითხვარების ნუსხა და ცოდნის შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც განსახილველად გადაეცა სახალხო განათლების სამინისტროს და შემდგომ გაიკრა ყველა კათედრაზე. დროულად გამოიკრა გამოცდების განრიგი. იმის გამო, რომ გამოცდების დაწყების დღისათვის არ იქნა მსმენელების მიერ განთავისუფლებული რექტორატის შენობა, სადაც ინახება მათი პირადი საქმეები და მიმღები კომისიის ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა საბუთები და საშუალებები, გამოცდები ვერ დავიწყეთ 15 ივნისს, რის შესახებაც მსმენელებს ეცნოთ განცხადებით. შექმნილი მდგომარეობის გამო, პროტესტის ნიშნად, პროფესორ-მასწავლებელთა წარმომადგენლების კრების დადგენილებით 1990 წლის 13 ივნისიდან შეწყდა საკურსო და სახელმწიფო გამოცდები. ამჟამად მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა იმასთან დაკავშირებით, რომ, ვიდრე რექტორატის შენობა ბლოკირებულია, ვერ ვატარებთ მსმენელთა გამოსაშვებ გამოცდებს და ვერ ვაცხადებთ აბიტურიენტთა საბუთების მიღებას. იქმნება დაპირისპირების რეალური საშიშროება, ერთის მხრივ, მოსამზადებელი განყოფილების მსმენელთა და მათი მშობელთა იმ ჯგუფებს შორის, ვისაც სურს გამოსაშვებ გამოცდებზე გასვლა და ვინც კატეგორიული წინააღმდეგია მისი და, მეორეს მხრივ, მსმენელთა და შემავალ აბიტურიენტთა და მათ მშობელთა შორის.

ვიდრე ინსტიტუტის ადმინისტრაციული შენობა არ განთავისუფლდება მსმენელთა და მათი მშობელთა მოპიკეტე ჯგუფის მიერ და რექტორატს და მიმღებ კომისიას არ შეექმნებათ მუშაობის ნორმალური პირობები, რექტორატი ვერ იღებს თავისთავზე პასუხისმგებლობას, ძალმომრეობის პირობებში ჩაატაროს მსმენელთა გამოსაშვები გამოცდები, რომლის გარეშეც, თანახმად საინსტიტუტო წარმომადგენლობის კრების გადაწყვეტილებისა, ვერ განხორციელდება წლევანდელ აბიტურიენტთა საბუთების მიღება და მათი გამოცდები.

თუ ა/წლის 10 ივლისამდე განთავისუფლდება რექტორატის შენობა და მიმღებ კომისიას შეექმნება მუშაობის უსაფრთხო პირობებში წარმართვის გარანტია, იგი 15 ივლისიდან დაიწყებს მოსამზადებელი განყოფილების მსმენელთა გამოსაშვებ გამოცდებს (ჩათვლებს), წინააღმდეგ შემთხვევაში მიმღები კომისია 15 ივლისიდან წყვეტს თავის ფუნქციონირებას. შექმნილ სიტუაციაში სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატი თხოვნით მიმართავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაუდასტუროს ინსტიტუტს უფლებამოსილება არ განახორციელოს მოსამზადებელი განყოფილების მსმენელთა გამოსაშვები გამოცდები (ჩათვლები) და აბიტურიენტთა მიღება პირველ კურსზე 1990/91 სასწავლო წლისათვის.

აღნიშნული მიმართვა მიღებულია რექტორატის სხდომაზე 1990 წლის 28 ივნისს (ოქმი № 49). იგი ერთხმად მოიწონა ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა კრებამ 1990 წლის 2 ივნისს.

**რექტორატი**

**რედაქციისაგან:** სამედიცინო ინსტიტუტში შექმნილი მდგომარეობა მთელი რესპუბლიკის საზოგადოების შეშფოთებას იწვევს. მიუხედავად მთავრობისა თუ განათლების სამინისტროს მიერ მიღებული არაერთი დადგენილებისა თუ ბრძანებებისა (ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავის), კომპრომისული კონსტრუქციული წინადადება, „მისაღები ყველა დაინტერესებული მხარისათვის, ჯერ კიდევ არაა მიღებული.

რამდენადაც მისაღები იქნება რექტორატის ეს წინადადება, ამას უახლოესი დრო გვიჩვენებს.

ჩვენ ვთხოვთ საქართველოს სსრ ჯანმრთელობისა და განათლების სამინისტროების ხელმძღვანელებს, მოსამზადებელი განყოფილების მსმენელებს, მათ მშობლებს, ახლობლებს ყურადღებით გაეცნონ რექტორატის მიმართვას და საკუთარი დასაბუთებული მოსაზრება მოგვაწოდონ.

რედაქცია მზადაა კონსტრუქციული მოსაზრებები ოპერატიულად გამოაქვეყნოს.

# მოვითხოვთ დიალოგის დაუყოვნებლივ დაწყებას

დღეს უკვე მეცხრე დღეა, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში მიმდინარეობს საპროტესტო შიმშილობის აქცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელი ფაკულტეტის სტუდენტებისა. დღეისათვის უკვე ოთხი ახალგაზრდა გადაყვანილია რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში. ორმა მოქალაქემ, რომლებიც სოლიდარობას უცხადებენ მოშიმშილეებს, ექვსი დღის წინათ პროტესტის განსაკუთრებული ფორმა — მშრალი შიმშილი დაიწყეს. მათგან ერთი 74 წლის მოხუცი ქალია, საჭიროა შესაბამისმა ორგანოებმა დაუყოვნებლივ დაიწყონ დიალოგი მოშიმშილეებთან, რამეთუ მათ ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე ემუქრება.

**საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება**

# წერილი „ახალგაზრდა ივერიელს“

მე ვეკუთვნი იმათ რიცხვს, რომლებიც „წითელ არმიაში“ მსახურობენ. „ვალს ვიხდი“ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ ვერინში (საცაა წელი დამთავრდება).

კალამი ხელში ამაღებინა თქვენს გაზეთში, 19 აპრილის ნომერში დაბეჭდილმა ზაზა ბიწაძის წერილმა, რომელსაც ასევე გერმანიაში უმსახურია და გვიყვება ერთ მეტად არასასიამოვნო ეპიზოდს სამხედრო ცხოვრებიდან. მინდა მოგახსენოთ, რომ კაპიტან მალახაისთანა ოფიცრები აქაც (და რა თქმა უნდა, არამარტო აქ) არიან, რომლებსაც „გულზე ახატიათ“ ქართველები და „ახარებთ“ საქართველოში გაჩაღებული მოძრაობა...

მე, პირადად, თქვენი გაზეთის თითქმის ყველა ნომერს ვღებულობ სახლიდან, ჩემი დისაგან (სენაკის რაიონიდან), სხვა ქართულ გაზეთებთან ერთად. ვღებულობ ყოველ სიახლეს.

მაგრამ ზოგიერთ ოფიცერს თვალში არ მოსდის, როდესაც გაზეთებით გატენილ კონვერტებს გადმომცემენ ხოლმე.

ერთხელ ერთმა ლეიტენანტმა გადაათვალიერა გაზეთების ახალი ნომრები და როდესაც სრული სიმართლით (თუმცა დემოკრატია ჯარისგან შორსა დგას) გავაცანი გაზეთებში მოთხრობილი, გახუმრება სცადა: „დგებუაძე, თქვენ რა, ამ გაზეთებით ანტისაბჭოურ პროპაგანდას ხომ არ ეწევით როტაში?“.

ერთხელ პოლიტხელმა მითხრა: „შენ სულ გაზეთებს ღებულობ და ერთ-ერთ პოლიტმეცადინეობაზე გამოდი და ყველას მოგვიყევი რა ხდება საქართველოში“.

მაშინ 9 აპრილის ამბებზე უხვად მქონდა გაზეთები და მეც ფოტომასალების საშუალებით მოვუყევი აპრილის ამბების შესახებ. დამთავრების შემდეგ პოლიტხელთან ცხარე კამათი მოხდა. მან არ დაიჯერა არც გაზის, არც ორლესური ნიჩბების და კერძოდ მშვიდობიანი მიტინგის დარბევის არც ერთი მამხილებელი ფაქტის შესახებ; როდესაც ავუხსენი, რომ ყველაფერი ეს ვიდეოფირზეა აღბეჭდილი-მეთქი, მან გამომწვევად მიპასუხა: მე არავითარი ვიდეოფირი არ მინახავს, ამიტომაც ვერ დავიჯერებო...

მე ვერ დავიჯერებ, რომ 9 აპრილის ამბებზე პოლიტხელს წარმოდგენა არ ჰქონდეს, მაგრამ, ვფიქრობ, მას უნდოდა როტის მრავალეროვანი კოლექტივი დაერწმუნებინა იმაში, რომ „ჭიანჭველა სპილოდ იყო გადაქცეული“. ამიტომაც 9 აპრილის ამბებზე სხვა აზრის არც „მოძმე“ რესპუბლიკების შვილები არიან (გამონაკლისს წარმოადგენენ ლატვიელები, რომლებმაც თითქმის ყველაფერი იციან მომხდარზე). მერე კიდევ, როცა დამოუკიდებლობაზე ჩამოვარდა სიტყვა, თითქმის დაცინვით განაცხადა: ვნახავ, სანამ იცხოვრებთ მაგ თქვენი ჩაითა და ყურძნითო...

პოლიტმეცადინეობებზე გვწვრთნიან კომუნისტური სულისკვეთებით. გვიქადაგებენ ლენინურ პოლიტიკას. ყოველ მეცადინეობაზე ჩაგვჩიჩინებენ ლენინის უკვდავ საქმეებზე, კომკავშირისა და წითელი არმიის „საგმირო საქმეებზე“. თემას ამდიდრებენ ისეთი მაღალფარდოვანი ლოზუნგებით, როგორიცაა „დელო ი სლოვო ლენინა ბესსმერტნი“. „პარტია უმ ჩესტ ი სოვესტ ნაშეი ეპოხი“...

მწყობრში სიარულის დროს ვმღერით სიმღერებს, რომელშიც არის ასეთი „სულისჩამწვდომი“ სტრიქონები: „რასია, ლიუბიმაია მაია...“, „დლია სალდატა რადნაია რუსსკაია ზემლია“....

რამდენიმე საათის წინ გაზეთები კვლავ რომ მივიღე, ზემოხსენებული ლეიტენანტი შემეკითხა: რა არის ახალიო. მე ვუპასუხე: „ამხანაგო ლეიტენანტო, მაინც არ დამიჯერებთ და რა აზრი აქვს მოყოლას-მეთქი.“ „გაეცლიმა“, არაფერი უთქვამს...

ასე გადიან დღეები სიძულვილისაგან ჯერ კიდევ გაუწითლებელ წითელ არმიაში.

**მიხეილ დგებუაძე.**

**ქ. ზვერინი.**



გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.




**ეროვნული** მოძრაობის ხელშემწყობი მშენებელთა პროფკავშირის საზოგადოებრივი კლუბი, მოგიწოდებთ საქართველოს მამულიშვილებს, რომლებისთვისაც ძვირფასია ერთიანი საქართველოს წინაპართა სისხლით მორწყული მიწის ყოველი გოჯი, არ დავუშვათ კიდევ ერთხელ ამ 69 წლის განმავლობაში საქართველოს მიწის გლეჯა, ნუ გავახარებთ ჩვენს მტრებს, რას გვეტყვიან თავისუფალი საქართველოს შვილები.

შეწყდეს ყოველგვარი მშენებლობა მიუსერაში, ე. წ. „გორბაჩოვის დაჩისა“. მტკიცე პროტესტი განვუცხადოთ ყველა იმ ფუნქციონერს, რომლებიც გვაიძულებენ განვაგრძოთ მშენებლობა, ჩვენ თქვენი იმედი გვაქვს.

# მოწოდება

## საქართველოს ყველა მშენებელს და მემონტაჟეს

მოვითხოვთ არ დაუშვან დაბა მიუსერის 480 ჰექტარი მიწის რუსეთის ფედერაციისათვის გადაცემა, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ყველა დეპუტატს მოვუწოდებთ გამოიჩინონ გონიერება, მიიღონ გადაწყვეტილება მიუსერაში მშენებლობის შეჩერებისა, ვიდრე არ გადაეცემა იგი საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა მკურნალობისა და დასვენებისათვის.

**ეროვნული მოძრაობის ხელშემწყობი მშენებელთა პროფკავშირის საზოგადოებრივი კლუბის გამგეობა.**

**თბილისი, 1990 წლის 2 ივლისი.**

**საქართველოს** ეროვნული მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრის შტაბ-ბინის სააქტო დარბაზში შედგა საქართველოს მშობელთა ასოციაციის საინიციატივო ჯგუფის კრება. ასოციაციის მიზანია საოკუპაციო არმიაში სამსახურზე ბოიკოტგამოცხადებული ახალგაზრდების (ე. წ. წვევამდელების) და ჯარის ნაწილებიდან წამოსული ყოფილი ჯარისკაცების უფლებების დაცვა.

## საქართველოს მშობელთა ასოციაციის საინიციატივო ჯგუფის

# განცხადება

კრებამ განიხილა დღეისათვის არსებული გადაუჭრელი პრობლემები და მოითხოვა:

— საწარმოო დაწესებულებებში მიწერის მოწმობისა და სამხედრო ბილეთის გარეშე მიიღონ სამუშაოდ საოკუპაციო არმიაში სამსახურზე ბოიკოტგამოცხადებული სამხედრო საბუთის არმქონე პირები; მანქანის მართვის მოწმობები გაიცეს სამხედრო საბუთების მოუთხოვნელად; საქართველოში იქნან გადმოყვანილი დისციპლინარულ ბატალიონებში და სამოქალაქო ციხეებში პროვოკაციულად შექმნილი საქმეების საფუძველზე გასამართლებული ჯარისკაცები.

# აუცილებელი განმარტება

მიმდინარე წლის 26 ივნისს გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ დაიბეჭდა წერილი „კვიცი გვარზე ხტის“, სადაც ლაპარაკია ჩემს მიერ გაზეთ „სახალხო განათლებაში“ (26 აპრილი, № 17) გამოქვეყნებული წერილის გარშემო. წერილში ვეხებოდი გვარისა და ეროვნების გამოცვლის საკითხს. რადგან ზოგიერთმა პატივცემულმა ოპონენტმა არასწორად გამიგო, მე იმავე გაზეთის (31 მაისი № 22) ნომერში დავბეჭდე განმარტება, სადაც ვწერდი: „ადრე შეცვლილი გვარებისა და ეროვნების დაბრუნების პროცესს არა და არა, გზა არ უნდა გადაეკეტოს — პირიქით! მე მინდოდა გადაგვეღობა გზა უკანონოდ გვარისა და ეროვნების გადაკეთების შესაძლო მცდელობისათვის და მეტი არაფერი“.

მინდა კიდევ გავიმეორო, რომ დაკარგული გვარებისა და ეროვნების აღდგენა უკეთილშობილესი და უპირველესი საქმეა!

ჩემი აზრით, ყოვლად გაუმართლებელია ისიც, რომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტმა შეწყვიტა მთხოვნელთა მიღება ამ საკითხზე.

გადაჭრით უნდა განვაცხადო, რომ უმართებულოდ მიმაჩნია კონკრეტული შემთხვევის გამო, დაწერილი ჩემი მცირე შენიშვნა მავნემ და მავანმა პიროვნული შეურაცხყოფისათვის გამოიყენოს.

რაც შეეხება „ახალგაზრდა ივერიელში“ დაბეჭდილ წერილს „კვიცი გვარზე ხტის“, პატ. კანდიდატებს მინდა შევახსენო, რომ საქართველოს ისტორია მარტო ისტორიკოსების კი არა, თითოეული ქართველი მამულიშვილის საქმეა, რა სპეციალობისაც არ უნდა იყოს იგი!

სხვა ამბავია, ვინ უფრო კომპეტენტურია ამ საკითხში. ყოველ შემთხვევაში, ნორმალური პასუხის გაცემა და ნორმალური განმარტება, თუ გნებავთ, არასპეციალისტის მიერ დასმულ კითხვაზე, ელემენტარული ეთიკის ამბავია. ეტყობა წერილის ავტორებს არ წაუკითხავთ ჩემი პირველი განმარტება აღნიშნული საკითხის გარშემო, რომელიც გაცილებით ადრე გამოქვეყნდა, ვიდრე მათი წერილი, თორემ ასე ხელაღებით პასუხის გაცემას არ აკადრებდნენ არც თავის თავს და არც სხვას.

პატივისცემით
**მევლუდ ბერელიძე**

## თბილისის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის მთ. ექიმს ამხ. დ. გაგუას
## ასლი: გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელს“

**ქალაქის სადეზინფექციო სადგური გაცნობებთ, რომ კოოპერატიულ სამკერვალოებში დასაქმებულ მკერავთა უმრავლესობა საქმიანობას ეწევა ბინებში, რაც ჩაითვლება არაორგანიზებულ კონტინგენტად, რჩებიან სამედიცინო შემოწმების გარეშე, რომელთა შორის შეიძლება იყვნენ, როგორც ტუბერკულიოზიანები, ისე კანისა და ვენსნეულებათა დაავადებებით. მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია, რომელიც გადის ფართო ხმარებაში, შეიძლება გახდეს ინფექციის გავრცელების წყარო.**

**ასევე შეიძლება სამართლიანი იყოს გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ მოთხოვნა სახელმწიფო და კერძო საკომისიო მაღაზიებში შეტანილი ტანსაცმლის გაუვნებლობის შესახებ, რადგან ასეთი ტანსაცმელი შეიძლება ასევე იქცეს ინფექციის გავრცელების საშუალებად.**

**ვეხმაურებით რა გაზეთის შეკითხვას, ქალაქის სადეზინფექციო სადგური კატეგორიულად მოითხოვს დამყარდეს თქვენს მიერ მკაცრი კონტროლი კოოპერატივების მიერ გამოშვებულ და საკომისიო მაღაზიებში ჩასაბარებელი ნივთების გაუვნებლობა-დეზინფექციაზე.**

**ვ. მოსიძე,**
**ქალაქის სადეზინფექციო სადგურის მთავარი ექიმი**

## საქართველოს სახალხო ფრონტის თბილისის დარბაზის

# განცხადება

ა/წ 10 ივლისს, სამშაბათს 16 საათზე საზოგადოება „ცოდნის“ დარბაზში (ქ. თბილისი, კოსტავას ქ. № 47) სსფ-ის თბილისის დარბაზი ატარებს კონფერენციას სსფ-ში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, რეგიონულ ფრონტებს გთხოვთ მიიღოთ მონაწილეობა და გამოაგზავნოთ თქვენი წარმომადგენლები.

**სსფ თბილისის დარბაზი**

# ლიდერთა მატჩი

**დასრულდა** საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე, რომლის ბოლო ტურშიც ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების ერთპიროვნული ლიდერები — ლანჩხუთის „გურია“ და რუსთავის „გორდა“.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ძლიერი მეტოქეების ამ შეხვედრამ უაღრესად დაძაბულ ვითარებაში ჩაიარა. თუმცა, წინდაწინ უნდა ითქვას, რომ სანახაობრივად თამაში ნაკლებად მიმზიდველი იყო. ამაში ვერც „გორდასა“ და ვერც „გურიას“ ვერ დავადანაშაულებთ — იმდენად დიდი იყო მატჩის საბოლოო შედეგის მნიშვნელობა და გუნდებიც საკმაოდ ფრთხილობდნენ.

შეხვედრა კი „გურიის“ შეტევებით დაიწყო და პირველი ხუთი წუთის განმავლობაში ბურთი არ სტოვებდა „გორდას“ საჯარიმოს. ამის შემდეგ თანდათანობით თამაში გათანაბრდა და ორივე გუნდი უფრო მოედნის ცენტრში ამჯობინებდა ბურთისათვის ბრძოლას. მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში არცერთ გუნდს აშკარა უპირატესობა არ ჰქონია, და მხოლოდ ერთხელ შეიქმნა სახიფათო მომენტი „გორდას“ კართან. ლანჩხუთელთა „უცხოელმა“ ფეხბურთელმა რობერტას ფრიდრიკასმა კარგად ისარგებლა „გორდას“ ცენტრალური მცველების უყურადღებობით და მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ დარტყმა მთლად ზუსტი ვერ აღმოჩნდა და გუნდებიც შესვენებაზე ისე წავიდნენ, რომ ანგარიში არ გახსნილა.

არ გახსნილა ანგრიში არც მეორე ტაიმში, რომელიც, შედარებით, უფრო საინტერესო იყო, მაგრამ აქაც ნაკლები იყო სახიფათო მომენტები. მხოლოდ ორი ეპიზოდის გამოყოფა შეიძლება მეორე ტაიმში, რომელიც შეიძლება გოლით დამთავრებულიყო. ჯერ რუსთაველთა კაპიტანმა ავთანდილ კაპანაძემ გაგზავნა ოსტატური თავური დარტყმით ბურთი ლანჩხუთელთა კარის მიმართულებით, მაგრამ გამოცდილმა ავთანდილ ქანთარიამ შეძლო ბურთის მოგერიება. მატჩის მიწურულს კი ბესიკ ფრიდონაშვილის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი რუსთაველთა ცენტრალურმა მცველმა გია კილასონიამ აკრობატული ნახტომით მოიგერია.



როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კილასონიამ ამ მატჩში ცენტრალური მცველის მოვალეობა შეასრულა და არცთუ ურიგოდ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ ფეხბურთელმა „გორდას“ შემადგენლობაში მთელი პირველი წრის განმავლობაში მეკარის გარდა თითქმის ყველა ამპლუაში ითამაშა...

ლიდერთა მატჩში კი, რომელიც ნულოვანი ფრით დამთავრდა, საუკეთესოები ორივე გუნდის მხრიდან, ჩვენი აზრით, გოჩა ტყებუჩავა და მამუკა აფციაური იყვნენ, რომლებმაც არაერთხელ დაიმსახურეს რუსთავის „ფოლადის“ სტადიონზე მოსული მრავალრიცხოვან გულშემატკივართა ტაში.

შეხვედრა მსაჯებისათვისაც მეტად ძნელი და ნერვიული გამოდგა (განსაკუთრებით მეორე ტაიმი). მატჩის არბიტრს გურამ სეფიაშვილს ორჯერ დასჭირდა ყვითელი ბარათის ჩვენება ფეხბურთელთათვის — მამუკა ფანცულაიასთვის და რიმას მაჟეიკისისათვის.

დასასრულ გაგაცნობთ ამ საინტერესო მატჩში მონაწილე გუნდების შემადგენლობებს:

**„გორდა“**: მეშკოვი, ფირცხალავა, ავაქიანი, კუდინოვი, კილასონია, აფციაური, ტ. კაპანაძე, მეტრეველი, ა. კაპანაძე, ფანცულაია, მიქაშავიძე (წიკლაური).

**„გურია“**: ქანთარია, ტყებუჩავა, კაბისაშვილი, დანელია, მაჟეიკისი, ცომაია, მიქაბერიძე, ფრიდრიკასი (ჩხაიძე), კორღალიძე, ფრიდონაშვილი, უგრელიძე (ბარათაშვილი).

**გია ტუხაშვილი**
**რაჟდენ გაბრიჩიძის ფოტო.**

**XVII ტურის სხვა შეხვედრების ანგარიშები:**

„ივერია“ — „იბერია“ 0:3;
„მზიური“ — „სამგურალი“ 4:2;
„ლიახვი“ — „მერცხალი“ 0:4;
„შევარდენი-1906“ — „კოლხეთი“ 3:1;
„კოლხეთი-1913“ — „ბათუმი“ 1:0;
„ოდიში“ — „ცხუმი“ 2:1;
„დილა“ — „ხანავარდო“ 3:0;
„ამირანი“ — „ქუთაისი“ 2:1.

# განცხადება

ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის“ სათნოების ორდენი შაბათს, 7 ივლისს ქაშუეთის ტაძართან იწვევს ყველას, ვისაც სურვილი აქვს კვირაში ერთი დღე დაუთმოს თავის უკიდურესად გაჭირვებულ თანამოძმეს.

ორდენის წევრები ტაძრის ეზოში კვლავ 11 საათისათვის შეიკრიბებიან.

**ამ გვერდზე გამოქვეყნებული მასალების ჰონორარი გადაირიცხება სოფ. ჰუჯაბის მშენებლობის ფონდში, ასოციაცია „ალორძინების“ ანგარიშზე 100700608 მთაწმინდის რაიონის ბინსოცბანკში.**


Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Иверели»

ტელეფონები: მისაღები — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი **მერაბ ბალარჯიშვილი**

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, მ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400 უე 00916

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380008 მ. კოსტავას ქ. № 14.